ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

**2018 წლის 17 მაისის სხდომის**

**ოქმი № 3**

სხდომას ესწრებოდა: 35 წევრიდან – 20.

დღის წესრიგი:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია
2. ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცება

   მომხს: თ. დოლბაია

3. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან თსუ-ს სადისერტაციო საბჭოში წარსადგენი წევრის შერჩევის კრიტერიუმებისა და წესის დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია
4. თსუ-ს საგანმანათლებლო ერთეულის - გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიის ფაკულტეტზე გადმოტანისა და ლაბორატორიის დებულების დამტკიცების შესახებ

   მომხს: თ. დოლბაია

5. ცვლილებები ფაკულტეტის დებულებაში
   მომხს: თ. დოლბაია
6. აკადემიური პერსონალის სამსახურში მისაღები საკონკურსო კრიტერიუმების დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია

მოისმინეს: 1.ფაკულტეტის დეკანმა დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის საბოლოო ვერსია, რომელიც რამდენიმე ხნის წინ გაეგზავნა პროფესურას განსახილველად.

აზრი გამოთქვეს : ა. კუხიანიძემ, გ. გოგსაძემ, ხ. მაისაშვილმა, მ. შამილიშვილმა, ზ. დავითაშვილმა, რ. ჯორბენაძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა (ოქმს ერთვის).

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის დეკანმა დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება და განმარტა, რომ ცვლილება განპირობებულია თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით ( №117, 17.04.2018) თსუ-ს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს ფორმირების წესის შესახებ, რომლის თანახმად უნდა გაუქმდეს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

აზრი გამოთქვეს : გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა, ს. დუნდუამ, ა. კუხიანიძემ, ხ. მაისაშვილმა, ვ. მელიქიძემ, მ. წერეთელმა და სხვ.

საკითხის ირგვლივ გაიმართა კამათი. ზ. დავითაშვილმა უარყოფითად შეაფასა წარმოდგენილი ცვლილებები. მან ეს სიახლე უკუსვლად და ევროპული საგანმანათლებლო სისტემიდან ამოვარდნად მიიჩნია. დოქტურანტურის დებულებაში ცვლილებებთან დაკავშირებით კრიტიკული თვალსაზრისი გამოხატა აგრეთვე ი. კაჭკაჭიშვილმა, კერძოდ კი, სადოქტორო კოლოკვიუმების გაუქმების ფაქტთან დაკავშირებით. მისი თქმით, კოლოკვიუმი ერთგვარი ფილტრის როლს ასრულებდა და ხელს უწყობდა საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობას კოლექტიური ძალისხმევით..

საკითხი დადგა კენჭისყრაზე, რომელმაც გამოავლინა, რომ დამსწრეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა დოქტორანტურის დებულებას წარმოდგენილი სახით, წინააღმდეგი წავიდნენ - ზ. დავითაშვილი და ი. კაჭკაჭიშვილი.

დაადგინეს: დამტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება წარმოდგენილი სახით (ოქმს ერთვის).

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის დეკანმა დამსწრეთ გააცნო თსუ-ს სადისერტაციო საბჭოს წევრის შერჩევის კრიტერიუმებისა და წესის პროექტი, რომელიც გათვალისწინებულია თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით ( №117, 17.04.2018)

აზრი გამოთქვეს : გ. გოგსაძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა, ზ. დავითაშვილმა, ა. კუხიანიძემ, ა. ბერძენიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ თსუ-ს სადისერტაციო საბჭოში წარსადგენი წევრის შერჩევის კრიტერიუმები და წესი (ოქმს ერთვის).

მოისმინეს: 4. თსუ-ს საგანმანათლებლო ერთეულის - გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიის ფაკულტეტზე გადმოტანისა და ლაბორატორიის დებულების დამტკიცების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს : გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა, ვ. მელიქიძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის – გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიის დებულება (ოქმს ერთვის).

მოისმინეს: 5. ფაკულტეტის დეკანმა წარმოადგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების ცვლილებათა პროექტი, გამოწვეული საფაკულტეტო სადისერტაციო საბჭოს გაუქმებითა და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შექმნით; ასევე ფაკულტეტის შემადგენლობაში საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის – გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიის გადმოსვლით

აზრი გამოთქვეს : რ. ჯორბენაძემ, ხ. მაისაშვილმა, ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ, მ. შამილიშვილმადა სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება წარმოდგენილი ცვლილებებით (ოქმს ერთვის).

მოისმინეს: 6. აკადემიური პერსონალის სამსახურში მისაღები საკონკურსო კრიტერიუმების პროექტი წარმოადგინა ფაკულტეტის დეკანმა. მან აღნიშნა, რომ დიდი ხანია მიმდინარეობს საუნივერსიტეტო მსჯელობა ახალი საკონკურსო კრიტერიუმების ჩამოყალიბების თაობაზე და რომ განხილვებში ჩართული იყო ფაკულტეტის პროფესურა.

აზრი გამოთქვეს : ი. კაჭკაჭიშვილმა, ხ. მაისაშვილმა, ზ. დავითაშვილმა, ვ. მელიქიძემ, ს. დუნდუამ, გ. გოგსაძემ, ა. ბერძენიშვილმა, ა. კუხიანიძემ, ვ. ლორთქიფანიძემ და სხვ.

ცალკეულ კრიტერიუმთა ირგვლივ გაიმართა მსჯელობა.

დაადგინეს: დამტკიცდეს აკადემიური პერსონალის სამსახურში მისაღები საკონკურსო კრიტერიუმები წარმოდგენილი სახით (ოქმს ერთვის).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე : თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: მ.შამილიშვილი, ასოცირებული პროფესორი

17 მაისი, 2018

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. თორნიკე თურმანიძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. ნანა მაჭარაშვილი

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულება

12. ნინო ჭალაგანიძე
13. ხათუნა მაისაშვილი
14. მარი წერეთელი
15. მანანა შამილიშვილი
16. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

17. ნინო პაველიაშვილი
18. გიორგი გოგსაძე
19. ვაჟა ლორთქიფანიძე
20. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური მიმართულება

21. რევაზ ჯორბენაძე
22. ნოდარ ბელქანია
23. ზურაბ აბაშიძე
24. თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

25. ალისა სულამანიძე
26. ანნა ჯაყელი
27. მარიამ ლაცაბიძე
28. ელენე ლომსაძე
29. ანნა ცქიტიშვილი
30. გიორგი გოგატიშვილი
31. დიმიტრი სანაია
32. ტარიელ ირემაძე

**დანართი #1**

## ფაკულტეტის მისია და სტრატეგია

### შესავალი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი შეიქმნა 2005 წელს, სხვადასხვა ფაკულტეტებზე არსებული სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სპეციალობების ბაზაზე.

სწავლების სამივე საფეხურზე ცოდნას ეუფლება 2224 სტუდენტი.

ფაკულტეტზე მოქმედებს 7 საბაკალავრო, 16 სამაგისტრო და **13** სადოქტორო პროგრამა. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულია 15 პროფესორი, 36 ასოცირებული პროფესორი, 16 ასისტენტ–პროფესორი, მათ შორის 55 აფილირებული და 135 მოწვეული პედაგოგი.

ფაკულტეტს ემსახურება 41 დამხმარე პერსონალი.

ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტებიდან გაზიარებული სწავლებისა და კვლევის სტანდარტებისა და ადგილობრივი კვალიფიციური აკადემიური პერსონალის გამოცდილების საფუძველზე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 6 სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული - მიმართულებაა: პოლიტიკის მეცნიერების, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის, საერთაშორისო ურთიერთობების, სოციოლოგისა და სოციალური მუშაობის, საზოგადოებრივი გეოგრაფიისა და ინტერდისციპლინური.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების პრიორიტეტები ეფუძნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024 წწ.) წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც ასახულია ფაკულტეტის მისია, ხედვა, ღირებულებები, მიზნები და განვითარების პრიორიტეტები შვიდწლიან პერიოდში. იგი განსაზღვრავს ფაკულტეტის მიერ დასახული მიზნების მიღწევის გზებსა და საშუალებებს.

**მისია**

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ერთგულია მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურულ - საგამანათლებლო ტრადიციებისა და მის მისიას წარმოადგენს:

- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშეწყობა ახალი ცოდნის შექმნისა და გავრცელების გზით;
- კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;
- სასწავლო–კვლევითი საქმიანობის განვითარება;

**მიზანი**

ფაკულტეტის მიზანია მყარად დაიმკვიდროს წამყვანი პოზიცია საუნივერსიტეტო სივრცეში, განვითარდეს სწავლებისა და კვლევის საერთაშორისო სტანდარტების ფარგლებში და უზრუნველყოს განათლების ევროპული ხარისხის მუდმივი ზრდა და ინტერნაციონალიზაცია, ევროპულ უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით.

**ხედვა**

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი 2024 წლისთვის გახდება სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების განვითარების საერთაშორისოდ აღიარებული საგანმანათლებლო - კვლევითი ცენტრი, რომელიც აქტიურად იქნება ჩართული ქვეყნის წინაშე მდგომი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევების გადაჭრის საკითხებში.

**ღირებულებები**

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ეფუძნება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ყოველივე იმას, რასაც მნიშვნელობა აქვს სასწავლო–კვლევითი მოღვაწეობისთვის. ეს ღირებულებებია: პროფესიონალიზმი, აკადემიური თავისუფლება, პასუხისმგებლობა, კოლეგიალურობა, ღიაობა, ნდობა, იდეების მრავალფეროვნება, ცვლილებებისა და ინოვაციებისადმი მზაობა, ქვეყნისადმი მსახურება და სხვ.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი უზრუნველყოფს მაღალ ხარისხს, თანაბარ მისაწვდომობასა და თვითრეალიზაციის საშუალებას სწავლის, სწავლებისა და კვლევის სფეროში განურჩევლად სქესისა, რელიგიური აღმსარებლობისა, ეთნიკური წარმომავლობისა, ფიზიკური შესაძლებლობებისა და სოციალური მდგომარეობისა.

## სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი ეფუძნება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას 2018–2024, თუმცა მუშაობა დოკუმენტზე დაიწყო ფაკულტეტის დეკანის 2015 წლის 5 მაისის #5 ბრძანების საფუძველზე ფაკულტეტზე ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების მიზნით შექმნილმა სტრატეგიული განვითარების კოლეგიამ, რომლის მუშაობაშიც ჩართული იყო ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ნაწილი.

დოკუმენტის მომზადებისას გათვალისწინებული იქნა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება, საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განმსაზღვრელი დოკუმენტები და განხორციელდა ფაკულტეტზე არსებული მდგომარეობის ანალიზი, ანალიტიკური ინსტრუმენტის, ე.წ. SWOT-ანალიზის მეშვეობით.

## SWOT-ანალიზი

ამ მეთოდით გაანალიზდა ფაკულტეტზე არსებული ვითარება, გამოვლინდა ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებელობები და საფრთხეები, ხოლო მიღებული შედეგების შესაბამისად განისაზღვრა ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა.

### ძლიერი მხარეები

- უნივერსიტეტის ტრადიცია და ისტორია;
- უნივერსიტეტის რეპუტაცია და პრესტიჟი;
- მაღალკვალიფიციური კადრები;
- საგანმანათლებლო პროგრამების ფართო არჩევანი;
- ორმაგი აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამები;
- ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები;
- ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხი;
- მდიდარი საბიბლიოთეკო რესურსები, მათ შორის ფაკულტეტის მცირე ბიბლიოთეკები;

- სტუდენტთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მიზნით, ყოველწლიური „საფაკულტეტო სახელმძღვანელოების კონკურსი“;
- პროფესორთა და სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, ყოველწლიური „საფაკულტეტო მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების კონკურსი“ ;
- საფაკულტეტო მაღალი სტანდარტის სამეცნიერო ჟურნალებში პროფესორთა და სტუდენტთა სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება ;
- საერთაშორისო ინდექსირებულ ჟურნალებში (1,5 და მეტი) გამოქვეყნების ფინანსური ხელშეწყობა აკადემიური პერსონალისთვის;
- ყოველწლიური და თემატური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება;
- სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება;
- უწყვეტი განათლების გამოცდილება (სეზონური სკოლები).

**სუსტი მხარეები**

- არასაკმარისი ფინანსები;
- მოძველებული ინფრასტრუქტურა, აუდიტორიების ნაკლებობა და მწირი მატერიალური რესურსები;
- აკადემიური პერსონალის არასაკმარისი რაოდენობა;
- მოწვეულ პედაგოგთა ჭარბი რაოდენობა;
- არასაკმარისი კვლევითი პროდუქცია;

**შესაძლებლობები**

- თანმიმდევრული და კოორდინირებული საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელება;
- ანგარიშვალდებულების პრინციპის შემდგომი დახვეწა;
- აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის ოპტიმიზაცია;
- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;
- აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შემდგომი გააქტიურება;
- კვლევების განხორციელება შრომის ბაზრის მოთხოვნების განსაზღვრის მიზნით;
- დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოზიდვა;

- ხარისხის მართვის სისტემის სრულყოფა;
- საგანმანათლებლო პროგრამების  მოდერნიზაცია და რაოდენობის ოპტიმიზაცია;
- საერთაშორისო საგანმანათლებლო - სამეცნიერო კავშირების გაღრმავება;
- პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაცია;
- ევროპულ უნივერსიტეტებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა;
- უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- კურსდამთავრებულთა საფაკულტეტო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა;
- ინკლუზიური განათლების  სრულყოფა.

**რისკები**

- არამდგრადი რეფორმები და ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები;
- შრომის არასაკმარისი ანაზღაურება, მისი თანმხლები მაღალკვალიფიციური კადრების დენადობით;
- ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები, სტუდენტთა პოტენციური კონტინგენტის კლებით.

**განვითარების სტრატეგიული ამოცანები და მიმართულებები**

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წინაშე არსებული გამოწვევების ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდა ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული ამოცანები და მიმართულებები 2018-2024 წლებისთვის. ესენია:

<u>სწავლა და სწავლება</u>: სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის განვითარება, ხარისხის მართვის სისტემის სრულყოფა სასწავლო პროგრამების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით,  სწავლების ალტერნატიული ფორმების დანერგვა, ინკლუზიური განათლების განვითარება, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა;

<u>კვლევა და ინოვაციები</u>: საერთაშორისოდ აღიარებული  სამეცნიერო პროდუქციის შექმნა და გამოქვეყნება რეიტინგულ ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში,  კვლევითი პროდუქციის კომერციალიზაციის ხელშეწყობა;

<u>თანამშრომლობა და ჩართულობა</u>: კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის შიდა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და კვლევითი პროექტების ინიცირება,  სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა, ფაკულტეტის ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო საგანმანათლებლო – კვლევით სივრცეში.

<u>რესურსების მართვა</u>: ფინანსური პასუხისმგებლობის, მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვის ეფექტიანობის ამაღლება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა სწავლა - სწავლების პროცესში, საგანმანათლებლო – კვლევით სფეროში ჩართული ადამიანური რესურსების განვითარება.

**ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგი**

**2018-2024**

**ამოცანა N1**

**სწავლა და სწავლება**

| № | **მიზნის მიღწევის გზები** | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | **განმახორციელებელი** | **ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია საზოგადოებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტი, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | განახლებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | |
| 2 | საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ | X | | | X | X | X | X | ფაკულტეტი, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | აკრედიტებული საგანმანათლელო პროგრამების რაოდენობა |
| 3 | საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაცია | | | | X | X | X | X | ფაკულტეტი, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | იდენტიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა |
| | | | | | | | | | | |
| 4 | უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტი | უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა, სტუდენტების რაოდენობა, გაცემული დიპლომების რაოდენობა |
| 5 | ბილინგვური საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტი | ბილინგვური საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა, სტუდენტების რაოდენობა, გაცემული დიპლომების რაოდენობა |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | ორმაგი და ერთობლივი ხარისხების მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება | X | X | X | X | X | X | X | თსუ–ის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი | ორმაგი და ერთობლივი ხარისხების მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა, სტუდენტების რაოდენობა, გაცემული დიპლომების რაოდენობა |
| 7 | უცხოურ ენებზე შეთავაზებული სასწავლო კურსების შემუშავება | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტი | უცხოურ ენებზე შემუშავებული სასწავლო კურსების რაოდენობა |
| 8 | სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა საგანმანთლებლო პროგრამების ეფექტიანობის გამოსავლენად | X | X | X | X | X | X | X | თსუ–სა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები; | დამოკიდებულებათა მაჩვენებელი |
| 9 | კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თსუ–ის სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი | დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | ელექტრონული სასწავლო კურსების დანერგვა | | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თსუ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, | ელექტრონული სასწავლო კურსების რაოდენობა და მოხმარების მაჩვენებელი |
| 11 | პრაქტიკის/პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კურსების მოდერნიზაცია | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური პერსონალი | სტუდენტთა პრაქტიკულ უნარებზე დაყრდნობით შექმნილი პროდუქციის ოდენობა და ხარისხი |
| 12 | სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კვლევა, გამოცდების შედეგების აპელაციის მონიტორინგი | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, თსუ საგამოცდო ცენტრი | აკადემიური მოსწრებისა და აპელაციის პროცესის მონიტორინგის შედეგები |
| 13 | სსსმ და შშმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურები, | სსსმ და შშმ პირებისთვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები |
| 14 | აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტი | გადამზადებულთა რაოდენობა |

**ამოცანა N2**

**კვლევა და ინოვაციები**

| № | **მიზნის მიღწევის გზები** | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | **განმახორციელებელი** | **ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებების განსაზღვრა და სამეცნიერო კვლევების სასწავლო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობა | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტი | ინტეგრირებული პროექტების რაოდენობა |
| 2 | საფაკულტეტო ყოველწლიური მიზნობრივი კვლევითი პროექტების დაფინანსება | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტი | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა და დახარჯული თანხები |
| 3 | სტუდენტების ჩართვა კვლევით პროექტებში | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტი | კვლევითი პროექტებისა და ჩართული სტუდენტების რაოდენობა |
| 4 | კვლევითი და ინოვაციური | X | X | X | X | X | X | X | თსუ–ის ადმინისტრაცია, | პროდუქციის ოდენობა |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პროდუქციის კომერციალიზაციის ხელშეწყობა | | | | | | | | ფაკულტეტი | |
| 5 | აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისების სისტემის განვითარება; | X | X | X | X | X | X | X | თსუ–ის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი | აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების რაოდენობა; |
| 6 | მაღალი რეიტინგის სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების ფინანსური ხელშეწყობა | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტი | გამოქვეყნებული მაღალი რეიტინგის სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა |
| 7 | სახელმძღვანელოების კონკურსის უზრუნველყოფა | X | X | X | X | X | X | | ფაკულტეტი | შექმნილი სახელმძღვანელოების ოდენობა |
| 8 | ინოვაციური და მიზნობრივი კვლევების უზრუნველყოფა | X | X | X | X | X | X | X | თსუ–ის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი | სამეცნიერო-კვლევითი პროექტების რაოდენობა |
| 9 | ორმაგი და ერთობლივი ხარისხების მიმნიჭებელი სადოქტორო პროგრამების განხორციელება | X | X | X | X | X | X | X | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტი | ორმაგი და ერთობლივი ხარისხების მიმნიჭებელი სადოქტორო პროგრამების რაოდენობა |
| 10 | დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის თანახელმძღვანე | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტი | დოქტორანტების უცხოელი თანახელმძღვანელ |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ლის სტატუსით უცხოელი სპეციალისტების ჩართვა | | | | | | | | | ების რაოდენობა |
| 11 | სამეცნიერო-კვლევით პროექტებში დოქტორანტების ჩართვა | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტი | სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართული დოქტორანტების რაოდენობა |
| 12 | სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტი | სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციებისა და მათში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა |
| 13 | საერთაშორისო სტანდარტების დონის სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალების გამოცემა | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტი | სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალებისა და პუბლიკაციების რაოდენობა |
| 14 | ფაკულტეტთაშორისი სამეცნიერო ჟურნალის „გარემო და საზოგადოება“ გამოცემა | X | X | X | X | X | X | X | სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტები | ჟურნალის პერიოდულობა |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | პლაგიატის საწინააღმდეგო სამუშაოების დანერგვა და განხორციელება | X | X | X | X | X | X | X | თსუ–ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თსუ–ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი, თსუ–ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, ფაკულტეტი | დაწესებულებაში მოქმედი პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამული უზრუნველყოფა;<br>ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა |

**ამოცანა N3**

**თანამშრომლობა და ჩართულობა**

| № | **მიზნის მიღწევის გზები** | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | **განმახორციელებელი** | **ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | უცხოეთის წამყვან უსდ-ებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით სამეცნიერო-კვლევითი გრანტების და ინოვაციური პროექტების | X | X | X | X | X | X | X | თსუ–ის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი | უცხოეთის წამყვან უსდ-ებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი გრანტების და ინოვაციური პროექტების რაოდენობა |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | განხორციელების ხელშეწყობა | | | | | | | | | |
| 2 | მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით ერთობლივი სამეცნიერო პუბლიკაციების ხელშეწყობა | X | X | X | X | X | X | X | თსუ–ის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი | უცხოეთის წამყვან უსდ-ებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით განხორციელებული ერთობლივი სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა |
| 3 | გაცვლით პროგრამებში აკადემიური პერსონალის მონაწილეობა | X | X | X | X | X | X | X | თსუ–ის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი | გაცვლით პროგრამებში მონაწილე აკადემიური პერსონალის რაოდენობა |
| 4 | მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო კვლევით | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტი | ღონისძიებებისა და მათში მონაწილეთა რაოდენობა |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ცენტრებთან თანამშრომლობით სამეცნიერო ღონისძიებების (კონფერენციები, სემინარები, ვორკშოპები და სხვ.) ჩატარება | | | | | | | | | |
| 5 | უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა | X | X | X | X | X | X | X | თსუ–ის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი | ხელშეკრულებები, მემორანდუმები,ერთობლივი ღონისძიებები |
| 6 | უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით სეზონური სკოლების ორგანიზება | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტი | სეზონური სკოლების რაოდენობა და მოზიდული ფინანსები |
| 6 | საფაკულტეტო „საბავშვო უნივერსიტეტის“ განვითარება | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტი | ღონისძიებების რაოდენობა |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლა“ – საკონსულტაციო სერვისების განვითარება | | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტი | ღონისძიებების რაოდენობა;<br>დატრენინგებულთა რაოდენობა |
| 8 | დამსაქმებელთა ფორუმის ორგანიზება | X | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტი | ღონისძიებების რაოდენობა;<br>დასაქმებულთა რაოდენობა |

**ამოცანა N4**

**რესურსების მართვა**

| № | **მიზნის მიღწევის გზები** | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | **განმახორციელებელი** | **ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო გარემოს (აუდიტორიების, სასწავლო ლაბორატორიების) რეაბილიტაცია/ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება | X | X | X | X | X | X | X | თსუ–ის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი | რეაბილიტირებული/გარემონტებული საგანმანათლებლო სივრცეების მოცულობა |
| 2 | აუდიტორიების, კაბინეტების, სასწავლო ლაბორატორიების, | X | X | X | X | X | X | X | თსუ–ის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი | შეძენილი თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა; თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის შეძენაზე |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბიბლიოთეკების აღჭურვა სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვ.) | | | | | | | | | დახარჯული თანხების მოცულობა |
| 3 | ინფრასტრუქტურის სსსმ და შშმ სტუდენტების საჭიროებებთან ადაპტირება | X | X | X | | | | | თსუ–ის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი | სსსმ და შშმ სტუდენტების საჭიროებებთან ადაპტირებული სივრცეების ფართობი; სსსმ და შშმ სტუდენტების საჭიროებებთან საგანმანათლებლო სივრცის ადაპტაციაზე დახარჯული თანხები |
| 4 | სტუდენტებისა და პერსონალისათვის უწყვეტი ელექტრონული სერვისების მიწოდება | X | X | X | X | X | X | X | თსუ–ის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი | ინტერნეტ სერვისის პარამეტრები |
| 5 | ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებთან მისაწვდომობის გაზრდა | X | X | X | X | X | X | X | თსუ–ის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი | მისაწვდომი ბაზების რაოდენობა და მომხმარებელთა რაოდენობა |
| 6 | ქართული და უცხოენოვანი სახელმძღვანელოების შეძენა, საბიბლიოთეკო | X | X | X | X | X | X | X | თსუ–ის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი | შეძენილი ქართული და უცხოენოვანი სახელმძღვანელოების რაოდენობა; |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ფონდის გამდიდრება | | | | | | | | | |
| 7 | სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესება | X | X | | | | | | თსუ–ის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი | სტუდენტთა მომსახურებაში დანერგილი „ერთი ფანჯრის“ პრინციპი |
| 8 | მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების სტიპენდიებით უზრუნველყოფა | X | X | X | X | X | X | X | თსუ–ის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი | ფინანსური უზრუნველყოფა |
| 9 | ფაკულტეტის ვებ-გვერდის რეგულარული მოდერნიზაცია | X | X | X | X | X | X | X | თსუ–ის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი | განახლებული ვებგვერდი; ვებგვერდის ხილვადობის ზრდის მაჩვენებელი |
| 10 | აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ელექტრონული პორტალის სრულყოფა | X | X | X | X | X | X | X | თსუ–ის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი | განახლებული სამეცნიერო პორტალი |
| 11 | ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური,მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემის სრულყოფა და შეფასება | X | X | X | X | X | X | X | თსუ–ის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი | შეფასებული პერსონალის რაოდენობა; პერსონალის შეფასების მაჩვენებლები |
| 12 | ფაკულტეტის სახელფასო – საბიუჯეტო | X | X | X | X | X | X | X | თსუ–ის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი | ფინანსური მაჩვენებლები |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პოლიტიკის შემუშავება - სრულყოფა | | | | | | | | | |
| 13 | ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება | X | X | X | X | X | X | X | თსუ–ის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი | საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემის არსებობა; შეფასების მაჩვენებლები |
| 14 | საფაკულტეტო მულტიმედია ცენტრისა და გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიის პროდუქციის კომერციალიზაცია | | X | X | X | X | X | X | ფაკულტეტი | პროდუქციის რაოდენობა და ფინანსური მაჩვენებლები |

**დანართი #2**

**სსიპ- ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო**
**უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა**
**ფაკულტეტის დოქტორანტურის**
**დებულება**

**მუხლი1. ზოგადიდებულებები**

წინამდებარე დებულება აწესრიგებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ ,,უნივერსიტეტი“ ან ,,თსუ“) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (ტექსტში შემდგომ „ფაკულტეტი“) სადოქტორო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის აუცილებელ პროცედურას ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ „თსუ“) წესდების, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებისა და თსუ-ში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

**მუხლი2. დოქტორანტურა**

1. “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის “ტ" ქვეპუნქტის თანახმად, დოქტორანტურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხისმინიჭებით.
2. დოქტორანტურის მიზანია სადოქტორო პროგრამების საფუძველზე დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდის, ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისთვის ხელშეწყობა.
3. დოქტორანტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს.
4. დოქტორანტი არის პირი, რომელიც სწავლობს დოქტურანტურაში.
5. დოქტორის ხარისხი არის უმაღლესი აკადემიური ხარისხი, რომელიც თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ენიჭება დოქტორანტურისთვის გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შემდეგ.
6. დოქტორანტურის კურსდამთავრებულს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ დადგენილი კვალიფიკაციის ფორმირების წესის შესაბამისად.

7. ერთობლივი პროგრამების შემთხვევაში, ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ.

**მუხლი3. სადოქტორო პროგრამა**

1. სადოქტორო პროგრამის შემუშავება ხდება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ ან უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტთან, პარტნიორ უნივერსიტეტთან, სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებასთან ერთობლივად, უნივერსიტეტსა და ამ დაწესებულებას შორის დადებული სათანადოხელშეკრულებისსაფუძველზე.
2. სადოქტორო პროგრამის პროექტს განიხილავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტის საბჭო. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სადოქტორო პროგრამა დასამტკიცებლადწარედგინებათსუაკადემიურსაბჭოს.
3. სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობს თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისპროფესორიანასოცირებულიპროფესორი.
4. სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს თსუ–ის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების მეცნიერი, სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.
5. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს პროგრამის განხორციელებაში ჩართულპირებს, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს.
6. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს ევალება პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად დოქტორანტების კონსულტირება ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, ამ კომპონენტების განხორციელების მონიტორინგიდასხვ.
7. ერთიდა იგივეპირიშეიძლებაიყოსმხოლოდ ერთი სადოქტოროპროგრამის ხელმძღვანელი.
8. სადოქტორო პროგრამის წარდგენისა და დამტკიცების პროცედურა განისაზღვრება თსუ–ის სხვა სამართლებრივი აქტებით და სადოქტორო პროგრამის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო გრანტის, საუნივერსიტეტო დაფინანსების, ქველმოქმედებისა და თვითდაფინანსებისფორმით.

**მუხლი 4. დოქტორანტურაში სწავლის უფლება**

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური

ხარისხის მქონე პირს.

2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დადგენილი წესით. დაწესებულების კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 5. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი**

1. დოქტორანტურაში ჩარიცხვისთვის წარსადგენი საბუთების ნუსხა და საბუთების მიღების ვადები განისაზღვრება თსუ–ის რექტორის ბრძანებით.
2. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობაა სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა.
3. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ–ერთი უცხო ენის -გერმანული, ინგლისური, ფრანგული- არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა.
4. დოქტორანტობის ის კანდიდატი, რომლისთვისაც ქართული ენა არაა მშობლიური და სურს სწავლა ქართულენოვან პროგრამაზე, ვალდებულია წარმოადგინოს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელისერტიფიკატიანჩაბარისგამოცდაქართულენაში.
5. დოქტორანტობის კანდიდატი წარმოადგენს სადოქტორო კვლევითი პროექტის (პროსპექტუსი) გეგმას (დანართი N1), რომლის შეფასება მოხდება გასაუბრებაზე.
6. დოქტორანტი გადის გასაუბრებას დეკანის ბრძანებით შექმნილ შესაბამის დარგობრივ მიმღებ კომისიასთან.
7. სადოქტორო პროგრამამ შეიძლება დამატებით განსაზღვროს წერითი გამოცდა სპეციალობაში.
8. დოქტორანტობის კანდიდატთან ფორმდება ხელშეკრულება უნივერსიტეტში დადგენილი წესის მიხედვით, რომელიცგანსაზღვრავსყველაამხარისვალდებულებებსადაუფლებებს.
9. დოქტორანტურაში მიღების ყველა პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორი, დეკანის წარდგინებით, გამოსცემს დოქტორანტურაში კანდიდატის ჩარიცხვის შესაბამის სამართლებრივაქტს.

**მუხლი6. დოქტორანტისსამეცნიეროხელმძღვანელი**

1. ფაკულტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელით.
2. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი.
3. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიცარარისფაკულტეტისსადისერტაციოსაბჭოსწევრი.

4. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ თსუ–ში დაკავებული აკადემიური თანამდებობის დატოვება არ იწვევს ავტომატურად დოქტორანტის ხელმძღვანელის სტატუსის დაკარგვას. ასეთ შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას.
5. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის დამტკიცების გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო, დოქტორანტის ჩარიცხვიდან პირველი სემესტრის განმავლობაში.
6. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელად შეიძლება დამტკიცდეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევის გამოცდილება და შესაბამისიპუბლიკაციები.
7. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას, ხელმძღვანელობსდოქტორანტისასისტირებისათვისმომზადებას.
8. იმ შემთხვევაში თუ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე, მან სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს.

**მუხლი7.დოქტორანტურაშისწავლა**

1. დოქტორანტ მა სწავლისა და კვლევის პროცესში უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 ECTS კრედიტი.
2. დოქტორანტურაში კრედიტების დაგროვება ხორციელდება თსუ–ის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით დადგენილი წესით. 180 ECTS კრედიტი მოიცავს სასწავლო (40 ECTS კრედიტი) დაკვლევით(140 ECTS კრედიტი) კომპონენტებს.
3. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის სემესტრში.
4. სადოქტორო თემის სათაურის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო, სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობის საფუძველზე დოქტორანტის ჩარიცხვიდან პირველი სემესტრის ვადაში.
5. სადოქტორო თემის სათაურის დაზუსტება შესაძლებელია დოქტორანტურაში სწავლის

განმავლობაში

6. სადოქტორო თემის შეცვლა დასაშვებია სწავლის ოთხი სემესტრის დასრულებამდე. ასეთ შემთხვევაში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობით გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო.

**მუხლი8.დოქტორანტურისსასწავლოდაკვლევითიკომპონენტები**

1. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო

საქმიანობისათვის.

2. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო და არჩევით ელემენტებს
3. სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ელემენტებიდან ყველა დოქტორანტისთვის სავალდებულოა:

ა) სწავლებისმეთოდები(5კრედიტი);

ბ) ერთისემინარი(15 კრედიტი);

გ) პროფესორისასისტენტობა(5 კრედიტი);

4. სასწავლო კომპონენტის დანარჩენი ელემენტები არჩევითია და განსაზღვრულია კონკრეტული სადოქტოროპროგრამისთავისებურებებისგათვალისწინებით.
5. დოქტორანტის კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადისერტაციო ნაშრომს (140 კრედიტი);
6. სემინარების ჩატარების განრიგი მტკიცდება დეკანის ბრძანებით და ტარდება დასკვნითი გამოცდებისპერიოდში.

**მუხლი 9.დოქტორანტის ინდივიდუალურისასწავლოდა კვლევითი გეგმა**

1. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმა იქმნება დარგში მიღებული ცოდნისგასაღრმავებლადდაკონკრეტულიკვლევითიპროექტისგანასხორციელებლად.
2. თითოეული დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევითიგეგმას.
3. დოქტორანტურაში სწავლის დასაწყისში, დოქტორანტი სპეციალურ შევსებულ ფორმას

„დოქტორანტისინდივიდუალურისასწავლოგეგმა" (ფორმა N1) წარუდგენს ფაკულტეტისსამეცნიერო კვლევებისადაგანვითარებისსამსახურს.

4. დოქტორანტურაში სწავლის დასაწყისში, დოქტორანტი თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან და შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ კვლევით გეგმას და შევსებულ სპეციალურ ფორმას (ფორმა N2) წარუდგენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა იქმნება.
5. სადისერტაციო ნაშრომის (კონკრეტული კვლევითი პროექტის) განსახორციელებლად. დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმაშიმოცემულია კვლევისმიზანი, სადისერტაციო ნაშრომისსტრუქტურა დაკვლევისსავარაუდოგრაფიკი.
6. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმა ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

**მუხლი 10.სადისერტაციო ნაშრომი**

1. სადისერტაციო ნაშრომი (დისერტაცია) წარმოადგენს დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შექმნილ სამეცნიერო ნაშრომს. ის უნდა ასახავდეს კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს, რომელსაც წვლილი შეაქვს შესაბამისი სამეცნიერო დარგის განვითარებაში. თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს კვლევაშიმისიწვლილი.
2. დისერტაცია უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე. თსუ-ს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დასაშვებია დისერტაციის უცხო ენაზე შესრულება და დაცვა, თუ სადოქტორო პროგრამა უცხოენოვანია.
3. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა, ფორმატი და სტილი განსაზღვრულია წინამდებარე დებულებით(დანართიN6).

**მუხლი11. დოქტორანტისმიერ სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა**

1. სადისერტაციო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე (გამონაკლისის გარდა), ხოლო მისი შემოკლებული ვარიანტი ინგლისურ ენაზე (35-40გვერდი);
2. სადისერტაციო ნაშრომი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას წარედგინება ქართულად ორ და უცხო ენაზე ერთ მაგარ ყდაში აკინძულ ეგზემპლარად და ელექტრონულისახით(CD). დოქტორანტმა ასევე უნდა წარმოადგინოს სადისერტაციო კვლევის შედეგები (2-3 გვერდი) ქართულ და ინგლისურ ენებზე;
3. სადისერტაციონაშრომთანერთადდოქტორანტმაუნდაწარადგინოსშემდეგიდოკუმენტები:

ა) სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის კრედიტების დაგროვების დამადასტურებელიდოკუმენტი;

ბ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი (ჟურნალის თავფურცელი, სარჩევი, სტატია), ანდასაბეჭდადმიღებისდამადასტურებელიდოკუმენტი;

გ) სამეცნიერო კონფერენციების მასალები, სადაც ასახული იყო სადისერტაციო ნაშრომის დებულებებიდაშედეგები(ასეთისარსებობისშემთხვევაში);

4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დასაშვებად აუცილებელია დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა იმის შესახებ, რომ ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვისთვის; ასევე, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის პროფესორთა მიერ სადისერტაციო ნაშრომის განხილვის შედეგების არგუმენტირებული წერილობითი შეფასება.
5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დასაშვებად აუცილებელია ორი პუბლიკაცია სადისერტაციო თემის ფარგლებში. მათ შორის: ერთი პუბლიკაცია - სამეცნიერო ჟურნალში, ან კონფერენციის მასალებში (proceedings) სამეცნიერო სტატიის სახით, რომლებიც ინდექსირებულია Scopus-ის ბაზაში; მეორეპუბლიკაცია– რეცენზირებად/რეფერირებადსამეცნიეროჟურნალში, რომელსაც აქვს ISSN კოდი.

6. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი თავს იყრის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში შემდგომი მსვლელობისთვის;
7. ფაკულტეტის დეკანი ფაკულტეტის საბჭოს წევრებთან კონსულტაციის გავლის შემდგომ, თსუ–ს სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სავარაუდო შემადგენლობას;
8. დოქტორანტი თავისუფლდება სწავლის გადასახადისგან, თუ ნაშრომს წარმოადგენს მიმდინარე სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში; ხოლო სემესტრის განმავლობაში ნაშრომისწარმოდგენისას- მომდევნოსემესტრიდან.

**მუხლი12. სადისერტაციო ნაშრომისწინასწარი შეფასება**

1. ფაკულტეტის საბჭო თსუ–ს სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებს/რეცენზენტებს;
2. სადისერტაციო ნაშრომის რეცენტენტად ინიშნება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის პირი, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომის საკვლევ სფეროში აქვს პუბლიკაციები.
3. სადისერტაციო ნაშრომს აფასებს სამი შემფასებელი, მათგან ერთი – უცხოელი.
4. სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისთვის /რეცენზ ირებისთვის გამოყოფილი დრო განისაზღვრება შეფასებაზე თანხმობის მიღების დღიდან ორი თვის ვადით.
5. შემფასებელთა მიერ წარმოდგენილი რეცენზიები ბეჭდური და ელექტრონული ფორმით გადაეცემა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას. უცხოელი შემფასებლის რეცენზია უნდა იყოს თარგმნილი და დამოწმებული. რეცენზია უნდა შეიცავდეს რეკომენდაციას/დასკვნას ნაშრომის დაცვაზე დაშვების, ან შესასწორებლად დოქტორანტისათვის უკანდაბრუნების, ანდადაცვაზეუარისთქმისშესახებ.
6. თუ შემფასებლების ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, სადისერტაციო ნაშრომი დაცვაზე დაშვებული არ იქნება.
7. თუ სადისერტაციო ნაშრომი დაცვაზე არ იქნა დაშვებული, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს შეიძლება მიეცეს დისერტაციაზე დამატებითი მუშაობის უფლება მაქსიმუმ 12 თვის ვადით. შესწორებული ნაშრომის კვლავ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დოქტორანტის ნაშრომი აღარ მიიღება დასაცავად.
8. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი დოქტორანტს გადასცემს რეცენზენტების დასკვნების ასლებს, ხოლო დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, ატყობინებს დაცვის თარიღს. დაცვისთვის მოსამზადებლად დოქტორანტსუნდამიეცესსულმცირე1 თვისვადა.
9. დაცვაზე დაშვების უარის თქმის შემთხვევაში, სადისერტაციო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი და რეცენზენტების წერილობითი დასკვნები ინახება სადისერტაციო საბჭოს არქივში.

**მუხლი13.სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია**

1. თსუ–ს სადისერტაციო საბჭო თითოეული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით შესაბამისი დარგის/სპეციალობის პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორებისგან ქმნის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას, სათადარიგო წევრების ჩათვლით.
2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში არანაკლებ 1 წევრი უნდა იყოს შესაბამისი დარგის/სპეციალობის მქონე პირი საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელსაც თსუ–ში არ უჭირავს აკადემიური თანამდებობა
3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს მინიმუმ შვიდი წევრისგან.
4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია თავმჯდომარეს, მოადგილესა და მდივანს ირჩევს თავისი შემადგენლობიდან.
5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია სათადარიგო კანდიდატურით ჩაანაცვლოს კომისიის ის წევრი, რომელსაც საპატიო მიზეზის გამო არ შეუძლია დისერტაციის დაცვაზედასწრება.
6. დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი და თემის რეცენზენტები არ შეიძლება იყვნენ სადისერტაციონაშრომის დაცვის კომისიისწევრები.
7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები ვალდებულნი არიან იცნობდნენ სადისერტაციო ნაშრომს,შემფასებელთა მიერ წარმოდგენილ დასკვნებს და შემოსულ გამოხმაურებებს.
8. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობისნახევარზე მეტი.

**მუხლი:13/ა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის უფლებამოსილება**

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა)ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, მოადგილესა და მდივანს;

ბ) შეარჩევს დაცვის თარიღს და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;

გ) უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურის ჩატარებას;

დ) მოქმედი კანონმდებლობითა და წინმამდებარე დებულებით გათვალისწინებული წესით აფასებს სადისერტაციო ნაშრომს

**მუხლი 14. დისერტაციის შეფასება**

1. სადისერტაციო ნაშრომების დაცვა ტარდება სემესტრში ერთხელ, ერთი თვის განმავლობაში, სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული გრაფიკით.
2. სადისერტაციონაშრომისშეფასებახდებასადისერტაციოკომისიისმიერდახურულსხდომაზე

შემდეგისისტემით:

ა) "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავინაშრომი– შეფასების91-100 ქულა;

ბ) "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების81– 90 %;

გ) "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების71–80%;

დ) "bene" - "საშუალო" –საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების61–70%;

ე)"rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებსმაინცაკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 %;

ვ) " insufficienter" - "არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ ა კმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; შეფასების 41–50 %;

ზ)"sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი"– შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 % და ნაკლები.

3. ამ მუხლის „ა“ - „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტსენიჭებადოქტორის აკადემიურიხარისხი.
4. ამ მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის ერთი წლის განმავლობაში წარდგენის უფლება.
5. ამ მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
6. დისერტაციის დაცვა საჯაროა. ინფორმაცია დაცვის შესახებ ქვეყნდება ფაკულტეტის ვებ გვერდზედისერტაციისდაცვამდემინიმუმორიკვირითადრე.
7. დაცვის ენა არის ქართული. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია/თსუ საბჭო?? უფლებამოსილია მიიღოს დაცვის სხვა ენაზე წარმართვისგადაწყვეტილება.
8. დისერტაციის დაცვის მსვლელობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი და ხელს აწერენ კომისიის წევრები.
9. დისერტაციისდაცვა შედგება შემდეგი პროცედურებისაგან:

ა) დოქტორანტისპრეზენტაცია(20-30 წუთი);

ბ) რეცენზიებისსაჯაროდწაკითხვა;

გ) დოქტორანტის მიერ რეცენზიებში წარმოდგენილ შენიშვნებზე და დასმულ შეკითხვებზე საჯაროპასუხისგაცემა/სამეცნიეროდისკუსია;

დ) კომისიის დახურული სხდომა სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად და დასკვნის გაფორმებაკომისიისყველაწევრისხელმოწერით;

ე) სადისერტაციონაშრომისშეფასების გამოცხადება.

ვ)სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვა.

ზ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასება და დაცვის დოკუმენტაცია(წერილობითი სახით დისერტანტის პრეზენტაციისა და რეცენზენტთა შენიშვნებზე მისი პასუხების ტექსტები, სადისერტაციო კომისიის საბოლოო დასკვნა, გამოყენებული ბიულეტენები), აგრეთვე დისერტაციის მსვლელობის აუდიო ჩანაწერი. სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად გადაეცემა შეფასებიდან 7 დღის ვადაში.

10. ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია სადისერტაციო საბჭოს სხდომამდე, რომელზეც დასმული იქნება საკითხი ამ სადისერტაციო ნაშრომის დაცვისკომისიის დასკვნის/შეფასების დამტკიცების თაობაზე, უნდა ინახებოდეს სადისერტაციო საბჭოს მდივანთან და ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაცნობად სადისერტაციო ყველა წევრისთვის.

**მუხლი 16. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება**

1. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (PHD) ანიჭებს სადისერტაციო საბჭო. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ დადგენილი კვალიფიკაციის ფორმირების წესის შეასბამისად.
2. სადისერტაციო საბჭოს მიღებიდან ერთი თვის ვადაში ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას) და ანიჭებს დოქტორანტს აკადემიურ ხარისხს.
3. სადისერტაციო საბჭოს მიერ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება კანონიერად ითვლება, თუ საბჭოს ესწრებოდა საბჭოს წევრთა ნახევარი მაინც და თუ დისერტაციის დაცვას ხმა მისცა სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთაგან ნახევარზე მეტმა. ამ პუნქტით გათვალისწინებულ სხდომას ესწრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია ან/და სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია (როგორც წესი კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის სახით)
4. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დისერტაციის სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ დამსწრეებს ინფორმაციას აწვდის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე (მისი არყოფნის შემთხვევაში- სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), რომელიც საბჭოს წარუდგენს დისერტაციის დაცვის დოკუმენტაციას და დისერტაციის ერთ ეგზემპლარს. საბჭოს სხდომაზე იმართება მსჯელობა. საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით (თითოეული დისერტაციის მიმართ) ხმის მიცემა უნდა იყოს ღია.
5. სადისერტაცო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ვალდებულია თავის წერილობით დასაბუთება სადისერტაციო

ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დაუმტკიცებლობის თაობაზე, წარმოადგენს მომდევნო სხდომაზე.

6. სადისერტაციო საბჭოზე დისერტაციის დაცვის პროცედურის ამსახველი საბჭოს სხდომის ოქმი სადისერტაციო სხდომის მასალებთან ერთად, ასევე სადისერტაციო ნაშრომის 1 ეგზემპლარი ინახება სადისერტაციო საბჭოში და შემდეგ გადაეცემა თსუ-ს არქივს.

**მუხლი17. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი**

1. დოქტორის აკადემიური ხარისხს/ კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ.
2. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტს შეიძლება მიეცეს ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მუხლი 18. დისერტაციის გამოქვეყნება**

დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვის შემდე, არაუგვიანეს 6 თვისა, გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით დისერტაციის ერთი ბეჭდური ან ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას. დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გამომცემლობის ვებგვერდზე და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისვებგვერდზე.

**მუხლი19.ერთობლივისადოქტორო პროგრამები**

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიძლება განხორციელდეს სადოქტორო პროგრამა თსუ-სა და სხვა უნივერსიტეტ(ებ)ს შორის თანამშრომლობით.
2. სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭება.
3. დოქტორანტის ხელმძღვანელობისა და ხარისხის მინიჭების წესები რეგულირდება შესაბამისი ხელშეკრულებით, თსუ-ის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტისა და წინამდებარე დებულების მოთხოვნებით.

**მუხლი20. დოქტორანტისმიერსადოქტორო პროგრამის შეცვლის პროცედურები**

1. დოქტორანტს აქვს უფლება შეიცვალოს სადოქტორო პროგრამა ერთი ფაკულტეტის ფარგლებში. საკითხს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო დოქტორანტის განცხადების საფუძველზე, იმ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში, რომელზე გადასვლაც სურს დოქტორანტს.
2. დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამის შეცვლა ფორმდება რექტორის ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე.

**მუხლი21.დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე დებულებას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიურისაბჭო.
2. წინამდებარედებულებისმიღება, გაუქმება, მასშიცვლილებებისადადამატებებისშეტანახდება ამმუხლისპირველიპუნქტითდადგენილი წესით.
3. წინამდებარე დებულება დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და ამოქმედდება აკადემიური საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

**დანართი #3**

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში წარსადგენ წევრთა **შერჩევის კრიტერიუმები და წესი**

**I.პროცედურული ნაწილი (წესი):**

- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული გაზომვადი კრიტერიუმების შესაბამისად, მოამზადებს შესაძლო კანდიდატთა ნუსხას დეკანისთვის წარსადგენად;
- ფაკულტეტის დეკანი, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრების შერჩევის კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას თსუ-ს რექტორისთვის კანდიდატთა წარდგენის თაობაზე.

**II. შეფასებითი ნაწილი (შერჩევის კრიტერიუმები):**

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ თანამდებობაზე (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება;
- დაცული დისერტაციის ხელმძღვანელობა;
- ციტირების ინდექსი;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- სამართლიანობა და მიუკერძოებლობა;
- პასუხისმგებლიანობა;

**დანართი #4**

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიის**
**დებულება**

**მუხლი 1.**
**ზოგადი დებულებანი**

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ,, ფაკულტეტი") გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორია (შემდგომში - ,,გის ლაბორატორია") წარმოადგენს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს.
2. გის ლაბორატორია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ფაკულტეტის დებულებით.
3. გის ლაბორატორია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

**მუხლი 2. გის ლაბორატორიის მიზანი, ძირითადი ამოცანები და უფლებამოსილებები**

1. გის ლაბორატორიის მიზანია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა, მათ შორის სივრცითი და სტატისტიკური მონაცემების მოძიება,

დახარისხება-კლასიფიკაცია, გეომონაცემთა ბაზების შექმნა, გეოინფორმაციული კარტოგრაფირება და თავისი პროფილის შესაბამისად კვლევითი სამუშაოების დაგეგმვა, განხორციელება და სხვ.

**2. გის ლაბორატორიის ამოცანებია:**

ა) საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა და აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სათანადო სასწავლო-სამეცნიერო მასალებით უზრუნველყოფა;

ბ) გის ლაბორატორიის განკარგულებაში არსებული კარტოგრაფიული, აერო და კოსმოსური სურათების, ორთოფოტოების, სტატისტიკური, გეოინფორმაციული მასალების (ბეჭდვითი თუ ელექტრონული ფაილების სახით) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

გ) შესაბამისი პროფილის მონაცემების მოძიება და ანალიზი;

დ) გის ლაბორატორიაში დაცული მასალების სათანადო წესებით აღრიცხვა, დახარისხება, შენახვა, შესწავლა და დაცვა;

ე) ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან თანამშრომლობა - გამოცდილების და ინფორმაციის გაზიარება, ერთობლივი პროექტების განხორციელება;

ვ) უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის თავისი კომპეტენციის ფარგლებში დახმარების გაწევა;

ზ) გრანტების მოპოვება, სამეცნიერო და სხვა სახის პროექტების განხორციელება.

3. გის ლაბორატორიის უფლებამოსილებებია:

ა) განახორციელოს დამხმარე საგანმანათლებლო, ასევე სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა;

ბ) მოაწყოს შეხვედრები, კონფერენციები და სხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებები;

გ) მოემსახუროს და შესაბამისი კონსულტაცია გაუწიოს სტუდენტებსა და პერსონალს.

**მუხლი 3. გის ლაბორატორიის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა**

1. გის ლაბორატორიის სტრუქტურა მოიცავს გის ლაბორატორიის პერსონალს და გის ლაბორატორიის სამეურვეო საბჭოს.

2. გის ლაბორატორიის საქმიანობის პოლიტიკის განმსაზღვრელი მმართველობითი ორგანო არის გის ლაბორატორიის სამეურვეო საბჭო (შემდგომში - ,,საბჭო“).

3. საბჭო იქმნება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.

4. საბჭო იქმნება 3 წელიწადში ერთხელ როტაციის პრინციპზე დაყრდნობით და შედგება 7 წევრისგან.

5. საბჭოს წევრობა ანაზღაურებადი არ არის.

6. საბჭოს შემადგენლობა კომპლექტდება შემდეგი წესით:

ა) 3 წევრი შეირჩევა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან, 2 წევრი შეირჩევა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან.

ბ) თითო წევრი შეირჩევა ორივე ფაკულტეტის სტუდენტთაგან აკადემიური მოსწრებისა და პრაქტიკული უნარების გათვალისწინებით;

**მუხლი 4. საბჭოს უფლებამოსილება**

ა) განსაზღვრავს გის ლაბორატორიის საქმიანობის ძირითად პრიორიტეტებს;
ბ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს გის ლაბორატორიის საქმიანობაში ჩართული სუბიექტების უფლება-მოვალეობების, შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობების შესახებ;
გ) მონიტორინგს უწევს გის ლაბორატორიის ამოცანების შესრულებისა და უფლებამოსილების განხორციელების პროცესს;
დ) ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტიან ჩართვას გის ლაბორატორიის საქმიანობაში;
ე) პასუხისმგებელია ამ დებულებით, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით ნებადართული სხვა საქმიანობის განხორციელებაზე.

**მუხლი 5. საბჭოს სხდომა**

1. საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ირჩევს საბჭო თავისი შემადგენლობიდან საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს საბჭოს ერთ-ერთი წევრი, რომელსაც ირჩევს საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა.
2. საბჭოს სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით. საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა, სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.
3. საბჭოს გადაწყეტილება ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს, საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი. საბჭოს მდივანს ირჩევს საბჭო სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

**მუხლი 6. გის ლაბორატორიის პერსონალი**

1. გის ლაბორატორიის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობებია გის ლაბორატორიის გამგე და ლაბორანტი.
2.გის ლაბორატორიის პერსონალის საშტატო ოდენობა აისახება უნივერსიტეტის საშტატო განრიგში.

**მუხლი 7. გის ლაბორატორიის გამგე**

1. გის ლაბორატორიის გამგეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

2. გის ლაბორატორიის გამგე:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს გის ლაბორატორიის მუშაობას;

ბ)პასუხისმგებელია გის ლაბორატორიის საქმიანობის განხორციელებაზე;

გ) ანაწილებს მოვალეობებს გის ლაბორატორიის საქმიანობაში ჩართულ პირებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) ზედამხედველობს გის ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;

ე) ორგანიზებას უწევს წინამდებარე დებულებით ლაბორატორიისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც საბჭოს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

ვ) ანგარიშვალდებულია საბჭოს წინაშე და არა უგვიანეს ყოველი წლის პირველიკვარტლის დასრულებისა საბჭოს წარუდგენს განვლილი წლის საქმიანობის ანგარიშს;

ზ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. ლაბორატორიის გამგის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს ახორციელებს გის ლაბორატორიის ერთ-ერთი თანამშრომელი, ლაბორატორიის გამგის დავალების საფუძველზე.

**მუხლი 8. ლაბორატორიის ქონება**

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად გის ლაბორატორია სარგებლობს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

**მუხლი 9. გის ლაბორატორიის ფინანსები**

გის ლაბორატორიის დაფინანსების წყაროებია:

ა) უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი მიზნობრივი დაფინანსება;

ბ) გრანტების, პროექტების და შემოწირულობების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;

გ) ხელშეკრულების შესრულებით მიღებული შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიზნობრივად გის ლაბორატორიისათვის განკუთვნილი საჩუქრის სახით მიღებული შემოსავლები;

ე) კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი შემოსავალი.

**მუხლი 10. გის ლაბორატორიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

ლაბორატორიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 11. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**დანართი #5**

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება**

**თავი I.**

**ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – ,,უნივერსიტეტი" ან ,,თსუ") სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (შემდგომში – ,,ფაკულტეტი") წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის ფარგლებში ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებსა და კვლევებს სოციალურ და პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით, უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.
2. ფაკულტეტი ვალდებულია, შექმნას პირობები სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევისათვის, უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა და მუდმივად იზრუნოს სასწავლო პირობების

გაუმჯობესებაზე.
3. ფაკულტეტის ოფიციალური სახელწოდებაა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი“.
4. ფაკულტეტის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
5. ფაკულტეტს აქვს ბლანკი უნივერსიტეტის გერბის გამოსახულებით. ბლანკის გამოყენება ფაკულტეტის უფლებამოსილების ფარგლებში ხდება ფაკულტეტის დეკანის დავალებით ან თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.
6. ფაკულტეტს აქვს ბეჭედი და უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის ფარგლებში არსებული სპეციალური განყოფილება.
7. ფაკულტეტის მისამართია: ილია ჭავჭავაძის გამზირი N8, 0179 თბილისი, საქართველო.

**მუხლი 2. დებულების მოქმედების სფერო**

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ფაკულტეტის სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს ფაკულტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. ფაკულტეტის დებულება შესასრულებლად სავალდებულოა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის, პერსონალისა და სტუდენტისათვის და სახელმძღვანელო დოკუმენტია უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის.

**თავი II**

**ფაკულტეტის სტრუქტურა, მართვის ორგანოები და სხვა სტრუქტურული ერთეულები**

**მუხლი 3. ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვის ორგანოები**

1. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია: ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2. ფაკულტეტის სტრუქტურა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით და მის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანი, დეკანის მოადგილეები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), ფაკულტეტის სასწავლო - სამეცნიერო, დამხმარე სამეცნიერო და სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.

**მუხლი 4. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა**

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებიდან - მიმართულებებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე არჩეული აკადემიური პერსონალი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება საბჭოს გადაწყვეტილებით, მაგრამ არანაკლებ 20 და არა უმეტეს 40 წევრით. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში, ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსით ასევე შედის ფაკულტეტის დეკანი, რომელიც არის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე.

2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

3. ფაკულტეტის საბჭოს ფორმირება:

ა) დეკანის ბრძანებით ფაკულტეტზე იქმნება საარჩევნო კომისია, რომელიც ახორციელებს ფაკულტეტის საბჭოში მიმართულებებიდან წარმომადგენლების არჩევის პროცესის უზრუნველყოფას.

ბ) საარჩევნო კომისიის წევრს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, როგორც ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატს. საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი.

გ) ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნიდან ერთი კვირის განმავლობაში საბჭოს წევრობის მსურველი აკადემიური პერსონალი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის საარჩევნო კომისიას მისი საბჭოს წევრობის კანდიდატად დარეგისტრირების თხოვნით.

დ) ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები აირჩევიან შესაბამისი სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებიდან ფარული კენჭისყრით.

ე) ყოველ კანდიდატს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად. აკადემიურ პერსონალს აქვს იმდენი ხმის უფლება, რამდენი წევრიც არის ასარჩევი ფაკულტეტის საბჭოში; უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი (კანდიდატები) ხდება ფაკულტეტის საბჭოს წევრი. თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში იმავე სხდომაზე, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა.

ვ) კენჭისყრის შედეგები ჯამდება სათანადო ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

ზ) ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩეული აკადემიური პერსონალის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური თანამდებობებისთვის დადგენილი ვადით. აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის გასვლის ან აკადემიური თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების შემთხვევაში (დეკანის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში) პირს უწყდება ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი. ფაკულტეტის საბჭოში ვაკანტური ადგილის დასაკავებლად (გარდა დეკანისა) დეკანის ბრძანებით ცხადდება ხელახალი არჩევნები, საბჭოს წევრთა არჩევნების ზემოთ წარმოდგენილი პროცედურების დაცვით.

თ) ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, ასევე სხვა ფაკულტეტზე მობილობის წესით გადასვლის

შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებას.

**მუხლი 5.**
**ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება**

1. ფაკულტეტის საბჭო:
ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს;
ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს დეკანს;
გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
ე) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;
ვ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;
ზ ) ქმნის სწავლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს;
თ) მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის შეიმუშავებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩატარების წესს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად;
ი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით განსაზღვრავს სპეციალობის/სპეციალობების ჩამონათვალს საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების ფარგლებში;
კ) სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრავს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდისათვის;
ლ) უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;
მ) დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში თავისი შემადგენლობიდან ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს;
ნ) ქმნის კომისიას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას აკადემიური უმაღლესი განათლების

ცალკეული საფეხურის - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა დასრულების შემდეგ პირისათვის შესაბამისი აკადემიურ ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე დადგენილი წესის თანახმად.

ო) ამტკიცებს ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო და დამხმარე სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის დებულებას;

პ) ქმნის კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიას;

ჟ)განსაზღვრავს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრების შერჩევის კრიტერიუმებსა და წესს;

რ)საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებს/ შემფასებლებს  და დისერტაციის დაცვის თარიღს;

ს) ამტკიცებს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით;

ტ)ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის სათაურს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით;

უ) იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო ნაშრომის სათაურის ცვლილებების შესახებ;

ჟ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

2. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. თუ საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

4. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია, გარდა მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით  გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**მუხლი 6. ფაკულტეტის დეკანი**

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი.

2. ფაკულტეტის დეკანს ჰყავს ორი მოადგილე, საქმიანობის სასწავლო და სამეცნიერო სფეროებში.

**მუხლი 7. ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესი**

1. ფაკულტეტის დეკანის არჩევნებს ატარებს და არჩევნების დღეს აცხადებს ფაკულტეტის საბჭო.

2. ფაკულტეტის დეკანს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო 4 წლის ვადით, გამჭვირვალეობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

3. დეკანად შეიძლება აირჩეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელიც ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს.

4. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

5. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.

6. დეკანობის კანდიდატად რეგისტრაციისათვის, მისი პიროვნების მაიდენტიფიცირებელი და სამუშაო გამოცდილების ამსახველი დოკუმენტაციის გარდა, აუცილებელია ფაკულტეტის განვითარების კონცეფციის წარმოდგენა.

7. არჩევნები ტარდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. თუ ფაკულტეტის დეკანი არის დეკანობის კანდიდატი, მას არ აქვს სხდომის თავმჯდომარეობის უფლება და ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარეს სხდომის დაწყებისთანავე ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.

8. ფაკულტეტის დეკანს ფაკულტეტის საბჭო ირჩევს ფარული კენჭისყრით. კენჭისყრა დეკანის ასარჩევად ტარდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ გამოცხადებულ არჩევნების დღეს.

9. დეკანის არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

10. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის ხმას.

11. იმ შემთხვევაში, თუ დეკანის არჩევნებში მონაწილე კანდიდატთაგან ვერც ერთი ვერ მიიღებს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერას, ტარდება არჩევნების მეორე ტური. არჩევნების მეორე ტური გაიმართება იმავე დღეს არჩევნების პირველი ტურის დასრულების შემდეგ არაუგვიანეს 1 (ერთი) საათისა. არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობს პირველი ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.

12. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების პირველ ტურში მონაწილეობს მხოლოდ ერთადერთი კანდიდატი და ვერ მიიღებს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერას, ან მეორე ტურში დეკანობის ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერას, ფაკულტეტის საბჭო უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით ნიშნავს ხელახალ არჩევნებს არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.

13. ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურები წესრიგდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით.

**მუხლი 8.**

**დეკანის უფლებამოსილებები**

1. ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;
ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;
დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესრულებისთვის;
ე) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;
ვ) უნივერსიტეტის რექტორსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს დეკანის მოადგილეების კანდიდატურებს;
ზ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციის პერსონალს;
თ) რექტორს წარუდგენს აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების ნუსხის პროექტს;
ი) პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;
კ)საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოსთან კონსულტაციების შედეგად, წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობას;
ლ) უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატურებს;
კ) ახორციელებს ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.
2. დეკანი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – ბრძანებას.
3. ფაკულტეტის ინტერესებიდან გამომდინარე დეკანისათვის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლის (მივლინება) და შვებულების მიცემის გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, რაც ფორმდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.
4. დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, დეკანის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის არარსებობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ავტომატურად ასრულებს დეკანის მოადგილე სასწავლო სფეროში, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კი დეკანის მოადგილე სამეცნიერო სფეროში.

**მუხლი 9. დეკანის მოადგილეები**

1. დეკანს ჰყავს ორი მოადგილე - სასწავლო სფეროში და სამეცნიერო სფეროში.
2. ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობის დაკავების უფლება, უნივერსიტეტის

წესდებით განსაზღვრული წესით, აქვს უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს ან ასოცირებულ პროფესორს.
3. დეკანის მოადგილეები ანგარიშვალდებულნი არიან დეკანის წინაშე.
4. სასწავლო სფეროში დეკანის მოადგილის ძირითადი ამოცანებია:
ა) სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის უზრუნველყოფა;
ბ) სასწავლო საქმიანობის განმახორციელებელი ფაკულტეტის ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კოორდინაცია;
გ) სასწავლო პროცესის განრიგისა და აკადემიური პერსონალის დატვირთვების მონიტორინგი;
ე) ფაკულტეტის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ღონისძიების ორგანიზება;
ვ) დეკანის დავალებების შესრულება.
5.სამეცნიერო სფეროში დეკანის მოადგილის ძირითადი ამოცანებია:
ა) ფაკულტეტზე სამეცნიერო მუშაობის კოორდინირება;
ბ) სტუდენტთა სამეცნიერო წრეების, დოქტორანტთა კოლოკვიუმებისა და სემინარების მუშაობის კოორდინირება და მონიტორინგი.
გ) ფაკულტეტის მიერ დაგეგმილი სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიების ჩატარების ორგანიზაციული და ტექნიკური ხელშეწყობის უზრუნველყოფა.
ვ) დეკანის დავალებების შესრულება.

**მუხლი 10. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტატუსი**

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის ფაკულტეტის მართვის ორგანო.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას, რაშიც მონაწილეობენ სტუდენტებიც.
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას.
4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს არსებული კანონმდებლობისა და ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.
5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთიანი საუნივერსიტეტო სისტემის ნაწილს.

**მუხლი 11. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფლებამოსილება**

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზით; ხელმძღვანელობს და ახორციელებს აკადემიურ სფეროში ფაკულტეტის საქმიანობის თვითშეფასების პროცესს, უზრუნველყოფს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის

პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია ითანამშრომლოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იხილავს საგანმანათლებლო პროგრამებს და მათი ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შემდგომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, ერთობლივი დადებითი დასკვნის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს.
4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატურ მონიტორინგს. მიღებულ შედეგებს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს პროგრამების შემდგომი დახვეწის მიზნით. მონაწილეობს აკადემიური პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების პროცესში.
5.ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციას, რომელიც გულისხმობს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში მათ მონაწილეობას და სხვ.

**მუხლი 12. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრუქტურა**

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აერთიანებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, სამსახურის წევრებსა და დამხმარე პერსონალს.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. სამსახურის წევრი საქმიანობას ახორციელებს ანაზღაურების გარეშე. საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის მიზნით მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი.
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დამხმარე პერსონალი ანაზღაურებადი თანამდებობაა.

**მუხლი 13. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილებანი**

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი (შემდეგში - ,,უფროსი“):
ა) წარმართავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას უნივერსიტეტის წესდების, ფაკულტეტის დებულებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს ფაკულტეტის სამსახურის თანამშრომლებს შორის;
გ) ხელმძღვანელობს ფაკულტეტის სამსახურის მოკლე და გრძელვადიანი სამუშაო გეგმების შემუშავებასა და მათ შესრულებას;
დ) წარმოადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან, ფაკულტეტებთან და სხვა სამსახურებთან, ხოლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს ფაკულტეტს მესამე პირებთან ურთიერთობისას;
ე) საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
2. ფაკულტეტის სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთ-ერთი წევრი.

**მუხლი 14. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევის წესი**

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო 4 წლის ვადით.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ფარული კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით.
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევის პროცედურა მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ.
4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად შეიძლება აირჩეს ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელ მოთხოვნებს განსაზღვრავს უნივერსიტეტი.

**მუხლი 15. ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულები**
ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენენ მულტიმედია ცენტრი და გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორია, რომელთა საქმიანობის მიზნები და წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

**მუხლი 16. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები**
1. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები იქმნება ფაკულტეტის გამართული

საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

2. ფაკულტეტზე არსებობს დამხმარე სტრუქტურული ერთეულები: სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, კანცელარია, რესურსების მართვის სამსახური. ტელე-რადიო და პრეპრინტის ლაბორატორიები და სხვ.
3. დამხმარე სტრუქტურული ერთეული შედგება ხელმძღვანელის, ხელმძღვანელის მოადგილის (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), მთავარი და უფროსი სპეციალისტებისაგან.

**მუხლი 17. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური**

1. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას, სტუდენტთა საინფორმაციო მონაცემთა ბაზის სრულყოფას, სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოებას, სტუდენტთა ინფორმირებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებით და სხვ.
2. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) ფაკულტეტზე სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;

ბ) საგანამანათლებლო პროგრამების რეალიზაციის ხელშეწყობა სასწავლო-მეთოდური მიდგომის შესაბამისად; სასწავლო ცხრილების შედგენა, კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგი;

გ) ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ინფორმირება ელ-ფოსტით უნივერსიტეტში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ახალი წესების, რეგულაციების, ინსტრუქციების მიღების ან მათში ცვლილებების შეტანის შესახებ;

დ) აკადემიური პერსონალის სემესტრული სააუდიტორიო დატვირთვების შესახებ ინფორმაციის შეგროვება - კოორდინირება;

ე) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის პროცესის ორგანიზება;

ვ) სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოება;

ზ ) უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში სტუდენტის პირადი მონაცემების ასახვა და მუდმივი განახლება;

თ) შუალედური და დასკვნითი გამოცდების უწყისების წარმოება სასწავლო პროცესის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად;

ი) კურსდამთავრებულთა თაობაზე წარდგინების პროექტისა და დიპლომის დანართების მომზადება;

კ) კურსდამთავრებულთა დოკუმენტაციის დაარქივება დადგენილი წესის შესაბამისად;

ლ) სასწავლო პროცესთან დაკავშირებით ფაკულტეტზე შემოსული კორესპონდენციის წარმოება;

მ) სტუდენტთა ინფორმირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ნ) სტუდენტთა მობილობის პროცესის ორგანიზებაში მონაწილეობა;

ო) სტუდენტთათვის საინფორმაციო მომსახურების გაწევა;

პ) ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ხელშეწყობა;

ჟ) კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიაში მონაწილეობა.

3. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტთა ტუტორიალს;

**მუხლი 18. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური**

1. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულია, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევების ორგანიზებას, ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო, კვლევით და სასწავლო დაწესებულებებთან ურთიერთობების დამყარებას, ინტერდისციპლინური კვლევების წახალისებას, მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერთა მოწვევასა და სამეცნიერო ინტელექტის მოზიდვას ფაკულტეტზე; კოორდინირებას უწევს ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამების მუშაობას და სხვ.
2. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) ინოვაციურ ცოდნაზე, ხარისხსა და შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების განხორციელების, სამეცნიერო–კვლევითი და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის ხელშეწყობა; სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნის პროცესის ორგანიზების, ამ პროცესის მიზნებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსების მოძიების და სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებული ახალი სახელმძღვანელოების შექმნის გზით საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზების ხელშეწყობა;

ბ) სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შედეგების ანალიზი, წლიური ანგარიშის მომზადება და უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში წარდგენა;

გ) ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული ზრდისა და მეცნიერ–მკვლევართა მხარდაჭერის პროგრამების განხორციელება;

დ) უცხოელ მეცნიერთა მოწვევისა და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის სამეცნიერო სტაჟირების ორგანიზების ხელშეწყობა;

ე) პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება;

ვ) სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობის კოორდინირება და მონიტორინგი;

ზ) დოქტორანტთა კოლოკვიუმების და სემინარების ორგანიზება;

თ) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ინფორმირება საგრანტო კონკურსების შესახებ;

ი) ფაკულტეტის საერთაშორისო კავშირების გაფართოება, ერთობლივი სასწავლო და სამეცნიერო პროექტების განხორციელება ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებების ფარგლებში;

კ) სამეცნიერო ჟურნალების შექმნა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთათვის;

ლ) დარგობრივი „საბავშვო უნივერსიტეტების“ ორგანიზება, ფაკულტეტის კურსდამთავრებულებთან მუშაობა;

3. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში კოორდინირებულად მუშაობს სადისერტაციო საბჭოსთან და პასუხისმგებელია დოქტორანტთა სამეცნიერო აქტივობების განხორციელებაზე.

**მუხლი 19. კანცელარია**

1. ფაკულტეტის კანცელარია უზრუნველყოფს ფაკულტეტზე დოკუმენტბრუნვის ორგანიზებასა და

გამართულ ფუნქციონირებას, ფაკულტეტზე შემოსული და გასული კორესპონდენციის, განცხადებებისა და საჩივრების მიღებას, რეგისტრირებას, დეკანის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების რეგისტრაციას და ფაკულტეტის შესაბამისი თანამშრომლებისათვის ასლების მიწოდებას; სააღრიცხვო-საცნობარო სამუშაოთა შესრულებასა და დანიშნულებისამებრ გადაცემა-დაგზავნას, ახდენს დოკუმენტაციის გაცემას უფლებამოსილ პირებზე, უზრუნველყოფს საარქივო საქმისწარმოებას დადგენილი წესის შესაბამისად, ფაკულტეტზე არსებული საჯარო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფას უნივერსიტეტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირისათვის მისი მოთხოვნისთანავე, თსუ-ის ცენტრალური კანცელარიიდან დროულად და შეუფერხებლად გადმოაქვს ფაკულტეტისთვის განკუთვნილი კორესპონდენცია და ნებისმიერი დოკუმენტი, გასცემს სტუდენტთა ცნობებს და სხვ.

2. ფაკულტეტის კანცელარიაში ინახება ფაკულტეტის ბეჭედი და ბლანკი, რომლებიც გამოიყენება დადგენილი წესის მიხედვით.

**მუხლი 20. რესურსების მართვის სამსახური**

1. რესურსების მართვის სამსახურის დანიშნულებაა რესურსების ეფექტიანად მართვის საფუძველზე ფაკულტეტის სტუდენტებს და პერსონალს შეუქმნას სწავლის, შრომისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პირობები; უზრუნველყოს ფაკულტეტის ბალანსზე არსებული ქონების მფლობელობისა და სარგებლობის ოპტიმალური რეჟიმის დადგენა; ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და თანამშრომელთა უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ინვენტარით, განახორციელოს მატერიალურ ფასეულობათა მიღება და მოვლა-პატრონობა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და სხვ.

2. რესურსების მართვის სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) ფაკულტეტის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსების ეფექტიანი მართვა;

ბ) სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროცესების საჭირო მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

გ) მატერიალურ–ტექნიკური და სასწავლო ბაზების სისტემატური გაუმჯობესებისთვის ხელშეწყობა;

დ) ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტის შექმნაში მონაწილეობა;

ე) ფაკულტეტის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსების შენახვის, აღრიცხვისა და გამოყენების პროცესის სრულყოფის მიზნით უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობა.

**მუხლი 21. ფაკულტეტის ბიბლიოთეკა**

1. ფაკულტეტის ბიბლიოთეკა არის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შემადგენელი ნაწილი და მისი მართვა ხორციელდება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებით დადგენილი წესით.
2. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებით.

**თავი III**

## საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები - მიმართულებები და დამხმარე სამეცნიერო ერთეული

### მუხლი 22. საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამა არის სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებზე, დარგობრივი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების შეძენაზე დაფუძნებული, სტუდენტზე ორიენტირებული, მოქნილი სტრუქტურის მქონე კურიკულუმი, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალისტთა მომზადებას სწავლების ცალკეული საფეხურის მიხედვით.
2. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ადამიანური რესურსით, რომელშიც შედის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი, მკვლევარი ან მოწვეული პერსონალი. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებითა და პროფესიული გამოცდილებით.
3. საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს პარტნიორ დაწესებულებებთან: საქართველოს ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ან სამეცნიერო–კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით.

### მუხლი 23. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, განხილვა, დამტკიცება

1. ფაკულტეტის საგანანათლებლო პროგრამას შეიმუშავებენ ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების პროფესორები.

2. საგანმანათლებლო პროგრამის განხილვის პროცესი მიმდინარეობს შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის სხდომაზე. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით და ფორმდება ოქმის სახით. მიმართულება პროგრამასა და ოქმს წარუდგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დადებითი დასკვნის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამას წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს.

4. ფაკულტეტის დეკანი სასწავლო პროგრამას განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

5. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და თანხმობის შემთხვევაში უგზავნის მას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აკადემიური საბჭოს წინაშე წარსადგენად.

6.საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

7. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

8. პროგრამის მუშაობისას აღმოჩენილი ტექნიკური ხარვეზების გასწორება ხდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.

9. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხილვასა და დამტკიცებასთან დაკავშირებული

სხვა პროცედურული საკითხები განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციით, რომელიც მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

**მუხლი 24. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი**

1. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს  პროგრამის ხელმძღვანელი, რომლის არჩევისა და დამტკიცების პროცედურა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურის შემადგენელ ნაწილს.

2.საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კანდიდატურა, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის კომპონენტი, განიხილება მიმართულების  აკადემიური პერსონალის სხდომაზე. გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით.

3. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის  შესაბამისი დარგის  პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. რამდენიმე  ხელმძღვანელის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელთა საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე ერთ-ერთი მათგანი შეიძლება იყოს პროგრამის კოორდინატორი.

4. პროგრამას ასევე შეიძლება უხელმძღვანელოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულმა პირმა. გადაწყვეტილებას პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ იღებს აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში მოწვეულ პირთან ერთად პროგრამას უნდა უხელმძღვანელოს უნივერსიტეტის პროფესორმა ან ასოცირებულმა პროფესორმაც.

5. პროგრამის ხელმძღვანელი  წარმოადგენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.

6. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია საუნივერსიტეტო, ავტორიზაციის და აკრედიტაციის მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობაზე. საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სილაბუსების ხარისხზე; სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ხარისხზე.

7. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის კურიკულუმის ფარგლებში სტუდენტებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებაზე, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე დეკანისათვის წინადადებების წარდგენაზე.

8. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება–განვითარებასთან დაკავშირებულ პროცესში აკადემიური პერსონალის ჩართულობა.

9. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის კანდიდატურები, მოწვევის აუცილებლობის

დასაბუთება და ინფორმაცია შესაბამისი ფინანსური დანახარჯების შესახებ უნდა განიხილოს მიმართულების სხდომაზე.
10. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია გაითვალისწინოს, რომ აკადემიური პერსონალის მიერ თავის ვალდებულებათა სრულფასოვნად შესრულების მიზნით, პედაგოგიური დატვირთვით (სააუდიტორიო საათები), უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს აკადემიური პერსონალი.
11. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შეცვლა ხდება პროგრამაში ცვლილების შეტანის წესის შესაბამისად.
12. პროგრამის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია მიმართულებისა და დეკანის წინაშე.

**მუხლი 25. სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები – მიმართულებები**

1. სასწავლო–სამეცნიერო მიმართულება წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური, ტექნიკური (ტელე–რადიო, ინტერდისციპლინური ლაბორატორიები და სხვ.) საგანმანათლებლო და სამეცნიერო რესურსების გამაერთიანებელ სასწავლო–სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს.
2. ფაკულტეტზე არსებობს შემდეგი სასწავლო – სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები – მიმართულებები:
ა) ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება;
ბ) სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება;
დ) პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება;
ე) საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება;
ვ) საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება;
ზ) ინტერდისციპლინური  მიმართულება.
3. მიმართულებაში გაერთიანებულია შესაბამისი დარგ(ებ)ის აკადემიური პერსონალი.

**მუხლი 26. მიმართულების ხელმძღვანელი**
1. მიმართულების ხელმძღვანელად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი (ასისტენტ-პროფესორი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის კანდიდატურა) არაუმეტეს 2 წლის ვადით.
2. დაუშვებელია მიმართულების ხელმძღვანელად ერთი და იგივე პირი არჩეულ იქნეს ზედიზედ ორ ვადაზე მეტით.
3. მიმართულების ხელმძღვანელის კანდიდატურას მიმართულების სხდომაზე ირჩევს მიმართულების აკადემიური პერსონალი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. შერჩეულ კანდიდატურას თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ფაკულტეტის დეკანი.
4. მიმართულების ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთა საქმიანობას.

5. მიმართულების ხელმძღვანელმა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული არსებითი საკითხები, მათ შორის აკადემიური პერსონალის მუშაობის ეფექტიანობა უნდა განიხილოს მიმართულების აკადემიური პერსონალის სხდომაზე.
6. მიმართულების ხელმძღვანელი ასრულებს ფაკულტეტის დეკანის დავალებებს და ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანის წინაშე.

**თავი IV**
**ფაკულტეტის პერსონალი**

**მუხლი 27. ფაკულტეტის პერსონალი**
1. ფაკულტეტის პერსონალი შედგება აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისაგან. ფაკულტეტის პერსონალის საშტატო ნუსხა წარმოადგენს უნივერსიტეტის საშტატო განრიგის ნაწილს, რომელიც მტკიცდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პერსონალის შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

**მუხლი 28. აკადემიური პერსონალი**
1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორისაგან, ასოცირებული პროფესორისაგან, ასისტენტ-პროფესორისაგან.
2. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესს, საგანმანათლებლო პროგრამასა და მეცნიერულ კვლევებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
3. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას ადგენს აკადემიური საბჭო.
4. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით.

**მუხლი 29. ადმინისტრაციული პერსონალი**
ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნებიან: დეკანი, დეკანის მოადგილეები და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

**მუხლი 30. დამხმარე პერსონალი**
დამხმარე პერსონალს მიეკუთვნებიან უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული, ასევე ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული შტატგარეშე, ფაკულტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები.

**თავი V**

## ფაკულტეტის სტუდენტი

### მუხლი 31. ფაკულტეტის სტუდენტი

1. ფაკულტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.
2. სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით.
3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

### მუხლი 32. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

1. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ფაკულტეტის ბაკალავრიატში სტუდენტის ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა; ფაკულტეტზე ჩარიცხული ბაკალავრიატის სტუდენტი (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჩარიცხვა ხდება კონკრეტულ საბაკალავრო პროგრამაზე) თავად ირჩევს მისთვის სასურველ საბაკალავრო პროგრამას/პროგრამებს.
3. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტი გამოცდას აბარებს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ენაში. გამოცდიდან თავისუფლდება ჩარიცხვის კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ან/და უცხოეთში/საქართველოში არანაკლებ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ენაზე სწავლის დამადასტურებელ დოკუმენტს.
4. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე სტუდენტი წერით/ზეპირ გამოცდას აბარებს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სპეციალობაში.
5. მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც ჩაბარებული აქვს საერთო სამაგისტრო გამოცდა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა, და აკმაყოფილებს შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად დადგენილ წინაპირობებს.

6. მაგისტრატურაში მიღება ხორციელდება კონკურსის საფუძველზე.
7. მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველის (შემდგომში მაგისტრანტობის კანდიდატი) საბუთების მიღებას ახორციელებს ფაკულტეტის მიმღები კომისია, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი.
8. მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ხდება კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სპეციალობაში წერითი გამოცდის შედეგების საფუძველზე. კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობად შეიძლება განისაზღვროს უცხო ენაში გამოცდის ჩაბარება ან სხვ.
9. გამოცდა სპეციალობაში ტარდება წერილობითი სახით. საგამოცდო ნამუშევრები ფასდება 100 ქულიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ მაგისტრანტობის კანდიდატის მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51%). სპეციალობის გამოცდაში ნაშრომებს ამოწმებს საგამოცდო კომისია, რომელიც ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე მტკიცდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით. საგამოცდო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.
10. უცხო ენაში საგამოცდო ნამუშევარი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. უცხო ენის გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ მაგისტრანტობის კანდიდატი მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51%). უცხო ენის გამოცდიდან თავისუფლდება მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს უცხო ენის ცოდნის დონის დამადასტრებელ შესაბამის სერტიფიკატს, ან/და უცხოეთში არანაკლებ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში სწავლის დამადასტურებელ დოკუმენტს. უცხო ენაში საგამოცდო ტესტების მომზადებასა და საგამოცდო ნაშრომების გასწორებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ენების ცენტრი.

11. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს გამოცდას შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ენაში. გამოცდიდან თავისუფლდება მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ან/და უცხოეთში/საქართველოში არანაკლებ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ენაზე სწავლის დამადასტურებელ დოკუმენტს.
12. მაგისტრატურაში მისაღებ საკონკურსო გამოცდას/გამოცდებს ატარებს ფაკულტეტი. გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის ტექნიკური მხარდაჭერით.
13. თუ სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები კონკურსი გადალახა ხუთზე ნაკლებმა მაგისტრანტობის კანდიდატმა სამაგისტრო პროგრამა არ ამოქმედდება, ხოლო სტუდენტებს უფლება მიეცემათ გადავიდნენ ფაკულტეტის სხვა სამაგისტრო პროგრამაზე, ამ პროგრამის წინაპირობების დაცვისა და ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში.
14. კონკურსანტთა საბუთების მიღების ვადები, მიმღები კომისიების მუშაობის რეგლამენტი, საკონკურსო გამოცდების განრიგი, საგამოცდო შედეგების გამოქვეყნებისა და გასაჩივრების წესი, სამაგისტრო პროგრამების ამოქმედების პირობები განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობითა და თსუ-ის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით.

15. დოქტორანტურაში სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით, უცხო ენაში მისაღები გამოცდის, სადოქტორო-კვლევითი პროექტის გეგმა–პროსპექტუსისა და სპეციალობაში გასაუბრების შედეგების საფუძველზე.
16. სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებითა და სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით.
17. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით.

**მუხლი 33. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა**

1. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა შედგება ფაკულტეტზე ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე არჩეული სტუდენტებისაგან.
2. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით.

**თავი VI**
**ფაკულტეტის ბიუჯეტი და ფინანსები**

**მუხლი 34. ფაკულტეტის ბიუჯეტი**
1. ფაკულტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს.
2. უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით, ფაკულტეტი მონაწილეობს უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის შემუშავების პროცესში.

**მუხლი 35. ფაკულტეტის ფინანსები და ქონება**
ფაკულტეტი მის მიერ მოზიდული ფინანსებისა და მის მფლობელობაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობით.

**თავი VII**

**გარდამავალი დებულებები და ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

**მუხლი 36. გარდამავალი დებულებები**

წინამდებარე დებულების მე-15 მუხლი ძალაში შევიდეს უნივერსიტეტის აკადემიური და წარმამოდგენლობითი საბჭოების მიერ ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის - მულტიმედია ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 11 ივნისის N45/2012 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან;

ასევე, ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 აპრილის N43/2016 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან.

**მუხლი 37. დებულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი**

წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ დებულების დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

**მუხლი 38. დებულების მიღება და ამოქმედება**

დებულება ამოქმედდეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

**დანართი #6**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე**
**აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები**

**პირველი ეტაპი**

**აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისია განიხილავს და ამოწმებს ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტის კვალიფიკაციის შესაბამისობას:**

1.1 განათლება

1.2 აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი

1.3 პედაგოგიური სტაჟი უმაღლეს სასწავლებელში
1.4 სამსახურებრივი გამოცდილება
1.5 სამოტივაციო წერილი (ასისტენტ - პროფესორის ვაკანსიისთვის)

<u>რის საფუძველზეც საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსანტის მეორე ეტაპზე გადასვლის შესახებ შემდეგი ფორმულირებით:</u>

| | |
|---|---|
| კონკურსანტის კვალიფიკაცია შეესაბამება ვაკანსიის პროფილს ☐ | კონკურსანტის კვალიფიკაცია არ შეესაბამება ვაკანსიის პროფილს ☐ |

**მეორე ეტაპი**

**მეორე ეტაპზე გადასული კანდიდატი შეფასდება სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების მიხედვით შემდეგი პროპორციით : 50 ქულა სასწავლო კომპონენტი, 50 ქულა სამეცნიერო კომპონენტი.**

*საზოგადოებრივი გეოგრაფიის, პოლიტიკის მეცნიერების, საერთაშორისო ურთიერთობების, ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციისა და ინტერდისციპლინური მიმართულებებისათვის*

<u>**სასწავლო კომპონენტი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:**</u>

- ✓ პედაგოგიური გამოცდილება უმაღლეს სასწავლებელში - მაქსიმუმ 10 ქულა;
- ✓ წარმოდგენილი სილაბუსების (მინიმუმ 2) შესატყვისობა მოქმედი პროგრამების სასწავლო კურსებთან და თსუ-ს სტანდარტებთან - 5 ქულა;
- ✓ სალექციო კურსებისა და სასწავლო - მეთოდური ლიტერატურის ავტორობა (ბოლო 10 წელი) – მაქსიმუმ 25 ქულა. მათ შორის:
  - სახელმძღვანელო - მაქსიმუმ 10 ქულა
  - სალექციო კურსი - მაქსიმუმ 7 ქულა
  - რიდერი - მაქსიმუმ 4 ქულა
  - პრაქტიკული მეცადინეობის კურსი - მაქსიმუმ 4 ქულა
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება - 5 ქულა;
- ✓ სტუდენტების კვლევების /ნაშრომების ხელმძღვანელობა (ბოლო 5 წელი) – მაქსიმუმ 5 ქულა.

<u>**სამეცნიერო კომპონენტი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:**</u>

- ✓ პუბლიკაციები იმპაქტ–ფაქტორის მქონე ჟურნალებში; ციტირების ინდექსი - ... ; h - ინდექსი - ...; g-ინდექსი –...; - მაქსიმუმ 11 ქულა;

- ✓ სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (ბოლო 10 წელი) – მაქსიმუმ 23 ქულა. მათ შორის:

- რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ ჟურნალებში, სტატიის ფორმატის საკონფერენციო მასალებში (Proceedings) – მაქსიმუმ 10 ქულა
- ადგილობრივ რეცენზირებად ჟურნალებში - მაქსიმუმ 5 ქულა
- მონოგრაფია - მაქსიმუმ 8 ქულა

✓ მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე (ბოლო 5 წელი) – მაქსიმუმ 7 ქულა;
✓ საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა (ბოლო 5 წელი) – მაქსიმუმ 5 ქულა;
✓ სამეცნიერო კვლევების კონცეფცია (პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის ვაკანსიისთვის) – მაქსიმუმ 4 ქულა.

*სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებისათვის*

<u>**სასწავლო კომპონენტი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:**</u>

✓ პედაგოგიური გამოცდილება უმაღლეს სასწავლებელში - მაქსიმუმ 10 ქულა (10 წლამდე გამოცდილება – 5 ქულა, 10 წელი და მეტი – 10 ქულა);
✓ წარმოდგენილი სილაბუსების (მინიმუმ 2) შესატყვისობა მოქმედი პროგრამების სასწავლო კურსებთან და თსუ-ს სტანდარტებთან - 5 ქულა;
✓ სალექციო კურსებისა და სასწავლო - მეთოდური ლიტერატურის ავტორობა (ბოლო 10 წელი) – 25 ქულა. მათ შორის:
  - სახელმძღვანელო - მაქიმუმ 10 ქულა (1 სახელმძღვანელო – 5 ქულა, 2 და მეტი სახელმძღვანელო – 10 ქულა)
  - სალექციო კურსი – მაქსიმუმ 7 ქულა (ერთი სალექციო კურსი – 4 ქულა, ორი და მეტი სალექციო ლურსი – 7 ქულა)
  - რიდერი (ქრესტომათია) – მაქსიმუმ 5 ქულა (ერთი რიდერი – 3 ქულა, ორი და მეტი რიდერი – 5 ქულა)
  - პრაქტიკული მეცადინეობის კურსი - 3 ქულა
✓ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება - 5 ქულა;
✓ სტუდენტების კვლევების /ნაშრომების ხელმძღვანელობა (ბოლო 5 წელი) – 5 ქულა;

<u>**სამეცნიერო კომპონენტი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:**</u>

- ✓ პუბლიკაციები იმპაქტ–ფაქტორის მქონე ჟურნალებში; ციტირების ინდექსი - ... ; h - ინდექსი - ...; g-ინდექსი -...; – მაქსიმუმ 11 ქულა (ერთი პუბლიკაცია – 4 ქულა, ორი პუბლიკაცია – 7 ქულა. ორზე მეტი პუბლიკაცია – 11 ქულა);

- ✓ სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (ბოლო 10 წელი) – 23 ქულა. მათ შორის:
  - რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ ჟურნალებში, სტატიის ფორმატის საკონფერენციო მასალებში (Proceedings) – მაქსიმუმ 9 ქულა (ერთი პუბლიკაცია – 3 ქულა, ორი პუბლიკაცია – 5 ქულა, ორზე მეტი პუბლიკაცია – 9 ქულა)
  - ადგილობრივ რეცენზირებად ჟურნალებში - მაქსიმუმ 4 ქულა (ერთი სტატია – 1 ქულა, ორი სტატია – 3 ქულა, ორზე მეტი სტატია – 4 ქულა)
  - მონოგრაფია - მაქსიმუმ 10 ქულა ( ერთი მონოგრაფია – 5 ქულა, ორი და მეტი მონოგრაფია – 10 ქულა)

**შენიშვნა: გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს მინიჭებული უნდა ჰქონდეს ISBN – წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი და/ან ISSN – სერიული გამოცემების საერთაშორისო სტანდარტული ნომერი.**

**მესამე ეტაპი**

**კონკურსანტი ატარებს საჯარო ლექციას მის მიერ კომისიისთვის წარდგენილი და კომისიისგან შერჩეული ორიდან ერთ–ერთ თემაზე.**
**საჯარო ლექციის ხანგრძლივობა: 30–40 წუთი.**
**საჯარო ლექცია ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:**

- ✓ მასალის ფლობა და ფართო ინტერპრეტირების უნარი;
- ✓ პრეზენტაციის უნარები;
- ✓ კომისიის წევრების კითხვებზე პასუხი.

<u>რის საფუძველზეც საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას შემდეგი ფორმულირებით:</u>

| | |
|---|---|
| კონკურსანტი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს ☐ | კონკურსანტი არ შეესაბამება ვაკანსიის პროფილს ☐ |

**<u>კონკურსში იმარჯვებს კანდიდატი, რომელიც გადალახავს პირველ და მესამე ეტაპებს, ხოლო მეორე ეტაპის მიხედვით ექნება უკეთესი შედეგი.</u>**

**<u>თუ კონკურსანტებს აქვთ თანაბარი შედეგები, გადაწყვეტილების მისაღებად საკონკურსო კომისია ითვალისწინებს შემდეგ დამატებით აქტივობებს:</u>**

- ✓ საერთაშორისო (უცხოური) რეცენზირებადი-რეფერირებადი ჟურნალების რედკოლეგიის წევრობა;
- ✓ სამეცნიერო ჟურნალების რედაქტორობა;
- ✓ სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება;
- ✓ სამეცნიერო–კვლევით ცენტრებთან /ორგანიზაციებთან თანამშრომლობა/წევრობა;
- ✓ სხვა სამეცნიერო მიღწევები (ჯილდოები, პრემიები, სტიპენდიები);
- ✓ ფაკულტეტის/თსუ-ს სერვისულ საქმიანობაში ჩართულობა.

<u>**საკონკურსო კომისია კონკურსის გამარჯვებულს გამოავლენს ფარული კენჭისყრით.**</u>